პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი ასკარი

1923
აგვისტო
30
ხუთშაბათი
მზე ამ. 4 ს. 15წ.
მზე ჩას. 7 ს. 10წ.
შესან. მოვლენათა დღიური
1914 წ. ავსტრიამ ომი გამოუცხადა ბელგიას.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მკაფიოდ ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 353 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 50.000 მანეთი. № 353

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია აღსასრულს უახლოვდება.

ერთ დროს ძლევა-მოსილი, სახელოვანი, მეორე ინტერნაციონალის ბურჯი და სულის ჩამდგმელი, სხვა ქვეყნების სოციალისტურ პარტიების მასწავლებელი—გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია აღსასრულს უახლოვდება.

ის განწირულია სასიკვდილოთ, მას ვერ იხსნის ვერც „დიდი“ პოლიცია შტრეზემან-გილფერდინგის, ვერც ჯადოსნური წამლობა მედიცინის დოქტორის კაუცკის და ვერც ხმალი გერმანიის მუშათა კლასის ჯალათის ნოსკესი.

რად ხდება ეს, რატომ ირღვევა და უფსკრულისაკენ მიექანება გერმანიის სოციალ-დემოკრატია?

როგორც ვიცით გერმანიის სოციალ- დემოკრატიული პარტია მეტად ძლიერი იყო. გერმანიის მრავალრიცხოვანი პროლეტარიატი მას მიყვებოდა და ის მიაჩნდა მის ინტერესების ერთად-ერთ დამცველად, ასე იყო მსოფლიო იმპერიალისტურ ომის დაწყებამდის. მაშინ სოციალ-დემოკრატია მართლაც საუკეთესო დამცველი იყო მუშათა ინტერესების. ასეთი მდგომარეობა იყო არა მარტო გერმანიაში, არამედ ყველა ქვეყნებში, სადაც კი არსებობდა მარქსიზმით შეიარაღებული სოციალ-დემოკრატიული პარტიები.

მაგრამ მსოფლიო იმპერიალისტურ ომის შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ყველაზე ძლიერი გერმანიის სოც.-დემ. და თითქმის მთელი მეორე ინტერნაციონალი ჩაეფლა ბურჟუაზიულ პატრიოტიზმის ჭაობში. გერმანიის სოც.-დემ. მიემხრო ბურჟუაზიას და მასთან ერთად წამოისროლა „სამშობლოს დაცვის“ ლოზუნგი: კლასიური ბრძოლა მან ანაცვალა ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზმის წითელი დროშა ფეხ ქვეშ გაუგო იმპერიალისტურ გერმანიის ბურჟუაზიას. ომის დროს გერმანიის სოც.-დემ.-ში მეტად მცირე რიცხვს წარმოადგენდენ ომის მოწინააღმდეგენი. არსებობდა პატარა ორგანიზაცია „სპარტაკი“ ლიზა ლიუქსენბურგის და რლ ლიბკნეხტის მეთაურობით, რომელიც გაძლიერდა, გაიზარდა ბოლოს ძლევა მოსილ კომუნისტურ პარტიათ იქცა.

ასე იყო წინათ, დღეს კი გერმა- აში მდგომარეობა შეიცვალა. ც. -დემოკრატია განაგრძობს ვის გზას. ის უთანხმდება ბურჟუ- ას და მასთან თანამშრომლობით ქრობს გერმანიის მუშათა კლასის ჯზე სარეპარაციო ვალების გა- დას და გერმანიის ეკონომიურ ომარეობის მოგვარებას.

ყოველივე ამან გერმანიის მუშათა კლასს აუხილა თვალები. ის ხედავს სოც.-დემოკრატიის ბელადების აშკარა ღალატს და სტოვებს თავის ძველ გზას და გადადის კომუნისტურ პარტიაში.

უკანასკნელმა ამბებმა სავსებით გამოაცალა ნიადაგი სოც.-დემოკრატ შტრეზემანის კაბინეთში შესვლამ და მასთან თანამშრომლობამ ერხელ კიდევ დაუმტკიცა გერმანიის პროლეტარიატს მათი გამცემლობა. გერმანიის პროლეტარიატმა უკვე იბრუნა ზურგი სოც.-დემოკრატებიდან და მოაშურა კომუნისტურ პარტიას. გერმანიის კომუნისტურ პარტიამ მოწოდებით იმართა მუშებს გადმოვიდენ კომ. პარტიაში, რომელიც ერთად ერთი ინტერესების დამცველია. მოწოდებამ დიდი ნაყოფი გამოიღო და გერმანიის მუშები მასიურად გადადიან კომუნისტურ პარტიაში, და არა მარტო მუშები, არამედ სოც.-დემოკრატიულ პარტიის ლიდერებიც სტოვებენ პარტიას. ცნობილი სოც.-დემოკრატი ობუხი, რომელიც დიდი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა მუშებში, უკვე გადავიდა კომ. პარტიაში; მეორე გამოჩენილი სოც.-დემოკრატი შტეინიც, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ფაბრიკა-ქარხნების მუშების მოძრაობაში, ასევე მოიქცა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასე მოიქცევიან ყველა ისინი, ვისთვისაც ძვირფასია პროლეტარიატის ინტერესები და კომუნიზმი. ყველა პატიოსანი, ჯანსაღი და გულწრფელი რაც დარჩენილა გერმანიის სოც.-დემოკრატიაში, კომუნისტურ პარტიას უეროდება. „სოციალ დემოკრატიულმა პარტიამ დაჰკარგა ყოველგვარი გავლენა მუშებში. მუშები მასსიურად გადმოდიან კომ. პარტიაში „როტე-ფანე-“ზე ხელის მომწერთა რიცხვი 20 ათასიდან 80 ათასამდე გაიზარდა მოკლე ხანში. მოძრაობა თვით მუშების ხელშია, რომლებიც უკანასკნელ დღეებში იჩენენ აქტივობას და ადგენენ პროლეტარულ თავდაცვის რაზმებს.

გერმანია დიდ ამბების მოლოდინშია.“ ლაპარაკობს გერმანიის კომ. პარ. ცეკას წევრი ამხ. გერილე.

გერმანიის სოც.-დემოკრატიის კრახი—მოსხდარი ფაქტია. პარტია დნება და იმსხვრევა. მას მოელის რუსეთის ესერების და ქართველ მენშევიკების ბედი. გერმანია დღეს ახლოა რევოლიუციასთან და იმედი გვაქვს, რომ გერმანიის პროლეტარიატი კიდეც შესძლებს პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით.

პრესა

ოსმალეთი ლოზანას შემდეგ.

უკვე ერთ თვეზე მეტი გავიდა ლოზანას ხელშეკრულების შემდეგ. ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობა კიდეც ემზადება უყოს რატიფიკაცია ხელშეკრულებას. მაგრამ ოსმალეთის შინაურ ცხოვრებაზე ამას დადებითად არ უმოქმედებია. ოსმალეთის ეკონომიური ცხოვრება ისევ—აწეწილია. ასე რომ მარტო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის საქმე არ გათავებულა და ლოზანას ხელშეკრულებას ოსმალეთის მდგომარეობა ოდნავად არ გამოუსწორებია.

ოსმალეთის დღევანდელ მდგომარეობას ეხება გაზ. „ზარია ვასტოკა“. გაზეთი სწერს:

„გაურკვევლობა გაუგებრობა—აი დღევანდელი მდგომარეობა ოსმალეთის.,. ლოზანას ხელშეკრულებამ დატოვა გადაუჭრელი და გაურკვეველი ისეთი დიდ მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ოსმალეთის ვალების რაოდენობა და გადახდის ფორმა, არ არის სავსებით გადაწყვეტილი საკითხები კაპიტულიაციის შესახებ. და რაც მთავარია—მეტად ორჭოფულად და გაურკვევლად არის გადაჭრილი ოსმალეთ-ბრიტანეთის საზღვრების საკითხი ირაკში (მესოპოტამიაში)“.

შემდეგ გაზეთი ეხება საკითხს, თუ რა ესაჭიროება დღეს ოსმალეთს და საითკენ უნდა იყოს მიმართული მისი მესვეურების მოქმედება.

„ოსმალეთის წინაშე დგას დიდი და გადაუდებელი კითხვები: 1) ეკონომიური და ფინანსიური საქმეების მოგვარება; 2) ამით კი ოსმალეთის საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობის გამტკიცება; 3) კულტურულ მუშაობის გაფართოება და 4) ეროვნული საკითხის გადაწყვეტა“.

ასეთი ამოცანები უდგას დღეს წინ ოსმალეთს. მაგრამ აძლევს კი მას ამის საშუალებას ლოზანას ხელშეკრულებას?

ლოზანას ხელშეკრულება წარმოადგენს ოსმალეთის მოთხოვნილებების მინიმუმის განხორციელებას, მაგრამ ამის განხორციელების დროს ბრძოლა თან და თან მწვავე ხასიათს მიიღებსა. ოსმალეთის დიდი ეროვნულ კრების სხდომაზე თვით ქემალ-ფაშამ განაცხადა:

„ოსმალეთისათვის გზა გახსნილია პროგრესისაკენ, მაგრამ საბოლოო მიზანი ჯერ კიდევ შორსაა—ლოზანაში მოპოებული ზავი ხანმოკლეა“.

დეპეშები

— გერმანიის ვალები თან და თან იზრდება.

— საოკუპაციო ხელისუფლებამ რურის ოლქიდან გადაასახლა 80 მემაღაროე მუშის ოჯახი.

— იაპონიის კაბინეტი გადადგა.

— იტალიის მუშები პროტესტს აცხადებენ ფაშისტების მიერ შრომის პალატის ხელში ჩაგდების გამო.

— ამერიკელ ფაშისტების ორგანიზაციამ კლუ-კუქს-კლანმა მოახდინა ახალი თავდასხმა მშვიდობიან მცხოვრებლებზე პიტსბურგში, რომლის დროსაც დაიჭრა 100 კაცამდე.

გერმანიის ამბები.

გერმანიის კაპიტალისტები უკმაყოფილონი არიან.

გერმანიის კაპიტალისტების პროტესტები ახალი საგადასახადო კანონის წინააღმდეგ ძლიერდება. სილეზიის ვაჭრობა—მრეწველობის კომიტეტი თავის საპროტესტო რეზოლიუციაში აღნიშნავს, რომ ამ გადასახადების დაწესება საგრძნობათ შეამოკლებს წარმოებას. ასეთივე შინაარსის არის ჰანოვერის სავაჭრო პალატების რეზოლიუციებიც.

სამუშაო ხელფასის დაკლება გრძელდება.

გერმანიის სტამბების მეპატრონეები აგრძელებენ სამუშაო ხელფასის დაკლების კამპანიას. მაკლენბურგის ოლქის სტამბების მეპატრონეებსა და რეფორმისტების ბელადების მოლაპარაკებას შედეგათ მოჰყვა შეთანხმება, რომლითაც მბეჭდავები ღებულობენ ორ მესამედს ტარიფით დაწესებულ ნორმისა. დანარჩენი მესამედი მიეცემათ შემდეგ.

ვალიუტის საკითხის გარშემო.

როგორც სჩანს კაპიტალისტები, რომელნიც აბარებენ ვალიუტას, ხელ-ახლათ იძენენ მას დანაკლისის შესავსებათ.

რეიხსბანკის ანგარიშებიდან სჩანს, რომ ერთი კვირის განმავლობაში გერმანიის სახელმწიფო ვალი გაზრდილა ერთი ორად.

ქაღალდის ფულის გამოშვება გაორკეცდა.

რეიხსბანკის ოქროს მარაგი უცხოეთის ბანკებში შემცირდა 80 მილიონ ოქროს მარკით.

გერმანიის ქონება უცხოეთის ბანკებში უდრის 10 მილიონ ოქროს მარკას.

სანოვაგე ძვირდება.

გერმანიაში სანოვაგის ფასების ზრდა გრძელდება.

ბურჟუაზიული გაზეთებიც კი აღნიშნავენ პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების საოცარ ზრდას...

საგანგებო ზომების შედეგი.

გერმანიის მთავრობის საგანგებო განკარგულებას შედეგათ მოჰყვა ბერლინის ბირჟაზე დოლლარის უეცარი აწევა.

მკვლელობა.

მიუნხენში სიკვდილით დასაჯა მიუსაჯეს სტუდენტ სვენგაუერს—სტუდენტი ბაუერის მოკვლისათვის. ისინი ორთავენი ეკუთვნოდენ „ბლიუკერის კავშირის“ ფარულ ნაციონალისტურ ორგანიზაციას.

სვენგაუერმა მოკვლის მიზეზათ დაასახელა, რომ ბაუერს განზრახვა ჰქონდა გაემჟღავნებია ორგანიზაციის საიდუმლოებანი.

საბჭოთა რესპუბლიკები და ბურჟუაზიული სახელმწიფოები.

ინგლისის ბანკირები სრული ნდობით ეკიდებიან ჩერვონცებს.

ნიუ-იორკის ურთიერთ დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა სისსენმა, რომელიც დაბრუნდა რუსეთიდან პარიზში „ნიუ-იორკ ტრიბუნის“ კორესპოდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ახალი რუსული ვალიუტა არის საუკეთესო ევროპაში. ჩერვონეცი „ნამდვილი ღირებულების ფულია.

სისსენის განცხადებით ინგლისის ბანკირები სრული ნდობით ეკიდებიან ჩერვონცებს და ამერიკელებიც მიბაძავენ ევროპის ბანკირების მაგალითს.

ვირტი მოსკოვში.

გერმანიის ყოფილმა კანცლერმა ვირტმა, რომელიც ამ ჟამად იმყოფება მოსკოვში პრესის წარმომადგე-

გაზეთ „წითელი არმიელი“-ს რედაქცია და კანტორა

ამით აცხადებს სამხედრო ნაწილების საყურადღებოდ, რომ ყოველ გვარი შემოწირულება, პროცენტული გადარიცხვა, საშეფო თუ სხვა ფული „წითელი არმიელი“-ს სასარგებლოდ

უნდა შედიოდეს პოლიტ-განყოფილების სალაროში,

საიდანაც სათანადო საანგარიშო წესების დაცვით გადაეცემა რედაქციას,

ნლებს განუცხადა, რომ ის ჩამოვიდა მოსკოვში რუსეთის ვაჭართა წრეებთან მოლაპარაკების მიზნით.

ამერიკა ს. ს. რ. კ.

ამერიკის სენატორებმა კინგიმ და ლაიდმა და ამერიკის კონგრესის დეპუტატმა ფრინმა დაათვალიერეს ქარხანა „წითელი ოქტომბერი“ რომელნიც გაკვირდნენ ქარხნის ასეთი ჩქარი აღდგენით სამოქალაქო ომის შემდეგ.

სპარსეთი და ს. ს. რ. კ.

რუსეთის აღმოსავლეთის პალატამ გაგზავნა ერთი ვაგონი რუსეთის ნაწარმოებთა ექსპონატები. ამ დღეებში გაიგზავნება კიდევ ორი ვაგონი.

გერმანია და ს. ს. რ. კ.

ცენტრო კავშირმა მიიღო დაპატიჟება კენისბერგის იარმუკაზე, რომელიც გაიხსნება მდგომარე წლის შემოდგომაზე.

ახლო აღმოსავლეთი

ლოზანის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელმა სტამბოლში, მოკავშირეთა წარმომადგენლებს გადასცა ნოტა ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მიერ ლოზანის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

ოსმალეთი თხოულობს გატანილ სიძველეთა დაბრუნებას.

ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელმა სტამბოლში ადნან-ბეიმ მოკავშირეებისაგან სტამბოლიდან გაზიდულ სიძველეთა უკან დაბრუნება.

სტამბოლის ევაკუაცია.

სტამბოლის ევაკუაცია მიმდინარეობს სრული წესრიგით. დაწესებულია აგრეთვე სტამბოლის განაპირო ადგილების ევაკუაცია.

ქემალი რჩება გენერალისიმუსად.

ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ დაადგინა, რომ ქემალს შერჩეს ომის დროს მინიჭებული სახელი გენერალისიმუსისა, სანამ საბოლოოდ გადაიჭრებოდეს საკითხი სრუტეებისა და მოსულის შესახებ.

სხვა და სხვა ამბები.

იტალია.

არჩევნების გადადება.

მუსოლინმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს გადასდოს არჩევნები განუსაზღვრელ დრომდის.

ჩეხო-სლოვაკია.

მეორე კვირაა, რაც გაფიცვა გრძელდება. მდგომარეობა გამწვავებულია.

მწარმოებლებს სურთ, რომ გაფიცულებს სასტიკი ზომებით გაუმკლავდნენ. თუ მუშათა მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს—მუშები დასტოვებენ მაღაროებს, შეჩერდება ელექტრონის სადგურები და ჩაქრება ღუმელები.

ბენეში მოსაშვალის როლში

რომში, არაოფიციალურ მოსაშვალის სახით ჩავიდა ჩეხო-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბენეში, რომელიც წინადადებას აძლევს იტალიას გამოიყენოს მისი გავლენა იტალიის და ჩეხო-სლავიის შორის კონფლიქტის გადაჭრისათვის. მუსოლინმა ინახულა ბენეში და ელაპარაკა მას ერთ საათ ნახევარი, საუბარის შინაარსი ინახება საიდუმლოთ.

ლატვია

სიძვირე.

გაზ. „სოციალ-დემოკრატის“ ცნობით ლატვიაში ძალიან დიდი სიძვირეა.

ხელშეკრულება.

რეველში ხელი მოაწერეს ლატვია-ესტონეთის სავაჭრო ხელშეკრულების პროექტს.

იაპონია.

„თანასწორობის საზოგადოება“ ძლიერდება.

იაპონიაში ძლიერდება „თანასწორობის საზოგადოების“ მოძრაობა. ეს ორგანიზაცია დაარსებულია მცხოვრებთა შორის, რომელნიც მოსახლეობენ იაპონიის განსაკუთრებულ კუთხეში და მოკლებულნი არიან ბევრ უფლებებს, რომლითაც სარგებლობენ სხვა იაპონელები. მათი რიცხვი აღწევს 3 მილიონამდე. თავისი ორგანიზაციული სიმტკიცის მეოხებით, ეს საზოგადოება წარმოადგენს საგრძნობ პოლიტიკურ ძალას. ხელმძღვანელების განცხადებით ეს საზოგადოება სთვლის თავის მტრად მთელ იაპონიის პარლამენტს და გაზრახვა აქვს მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრატიულ და საკანონმდებლო არჩევნებში, იმ მიზნით, რომ გამოსტაცოს ხელიდან ბურჟუაზიას არჩევნების მონოპოლიური უფლებები.

პროვინცია გუმმაში, სადაც ეს კასტა განსაკუთრებით ძლიერია, მოხდა მნიშვნელოვანი შეტაკებები პოლიციასთან. პოლიციამ დააპატიმრა საზოგადოების რამდენიმე უფრო ცნობილი მოღვაწეები, იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალონ საზოგადოების გავლენის გაძლიერებას.

პოლონეთი.

ხუთ დღიანი გაფიცვა.

საამშენებლო მუშების ხუთ დღიანი გაფიცვები დამთავრდა, მუშების მოთხოვნილებების უარყოფით.

ყოფილ მენშევიკების სრ. საქართველოს ყრილობა.

(მეორე სხდომა).

სხდომა იხსნება დილის 11 საათზე. ყრილობა ადგენს, გაუგზავნოს ამხ. ლენინს მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესობის გამო მისასალმებელი დეპეშა.

ამხ. ქუმბურიძის მოხსენება.

მომხსენებელი ვრცლად ახასიათებს ომის მიერ გამოწვეულ ცვლილებებს ცხოვრების ყოველ დარგში, კაპიტალისტურ ევროპის დაცემასა და გახრწნას და შემდეგ გადადის ოქტომბრის რევოლიუციის დახასიათებაში.

ოქტომბრის რევოლიუციამ სცადა მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის საკითხის გადაჭრა. იგი არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა.

ოქტომბრის რევოლიუცია ნაკარნახევი იყო თვით ისტორიის მიერ. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ არ გამართლდა ირ. წერეთლის წინასწარმეტყველება, რომ კომუნისტები რამოდენიმე დღის შემდეგ დაემხობიანო.

რუსეთის მუშათა კლასი მთელი ექვსი წლის განმავლობაში მტკიცედ სდგას ოქტომბრის რევოლიუციის ნიადაგზე და იცავს სოციალისტურ ქვეყანას კაპიტალისტების შემოსევისაგან.

პირველად რუსეთის რევოლიუციას გამოეხმაურა გერმანიის პროლეტარიატი, მაგრამ იქ ძლიერი აღმოჩნდენ გამყიდველები და შეიდემან-ნოსკემ სისხლში ჩაახრჩვეს გერმანიის პროლეტარიატის ცდა—ჩაეგდო ხელში ძალა-უფლება.

დიდ ბრძოლას აწარმოებს ამ ჟამად რუსეთის მუშათა კლასი კაპიტალიზმის წინაამდეგ და სასაცილოა მხოლოდ ბრალდება, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება ახალი ეკონომიური პოლიტიკით ბურჟუაზიულ წყობილებას ამკვიდრებდეს...

როგორ შეხვდა მენშევიზმი ამ უდიდეს მოვლენას? როგორია მენშევიზმის დამოკიდებულება ეგრეთწოდებულ ოქტომბრის რევოლიუციასთან?

ამ საკითხში საბოლოოდ გამოაშკარავდა მენშევიზმის მახინჯი ბუნება.

დაიწყო თუ არა მსოფლიო ომი, მეორე ინტერნაციონალი წამსვე ხუხულასავით დაიშალა. მისი ხმა აღარსად აღარ გაისმოდა. მენშევიკები თავთავიანთ ქვეყნის ბურჟუაზიას ამოუდგენ გვერდით.

მენშევიკებმა შოვინისტური გზა არჩიეს კლასსიურ ბრძოლის წარმოებას...

სამოქალაქო ომის გაჩაღების ნაცვლად ისინი ბურჟუაზიასთან შეთანხმებას ქადაგებდნენ.

დღეს გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთის რევოლიუცია უფსკრულში გადაიჩეხებოდა, რომ იგი ესერ-მენშევიკების მიერ ნაჩვენებ ტაქტიკით წასულიყო და ოქტომბრის რევოლიუციას არ დაემხო ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკა.

კომუნისტებმა სწორედ გაითვალისწინეს რუსეთის რევოლიუციის მსოფლიო მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა და რუსეთის რევოლიუციის მოწოდება მოითხოვდა მაშინ დამფუძნებელ კრების გარეკას და პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადებას.

დამფუძნებელ კრების გარეკას შემდეგ ესერ მენშევიკები იწყებენ საბჭოთა ხელისუფლების წინაამდეგ ბრძოლას. ეს ბრძოლა გადაიქცა რევოლიუციის წინაამდეგ ბრძოლათ.

მენშევიკებმა და ესერებმა კონტრრევოლიუციონერების ბანაკში ამოყვეს თავი.

რუსეთის რევოლიუციამ გარიყა მენშევიკური და ესერული ჯგუფები.

კიდევ უფრო დიდი მარცხი განიცადეს ქართველმა მენშევიკებმა.

მენშევიკები საქართველოში მუდამ ნაციონალიზმის წინაამდეგ იბრძოდენ მათ დამღუპველათ მიაჩნდათ ქართველი ხალხისთვის, არა თუ საქართველოს დამოუკიდებლობა, არამედ პოლიტიკური ავტონომიაც-კი.

26 მაისიდან მენშევიკებმა უღალატეს ყველაფერ ამას და თვით გახდენ უკიდურესი ნაციონალისტები.

მენშევიკებმა ზურგი აქციეს რუსეთის რევოლიუციას და იმპერიალისტების კალთას შეაფარეს თავი.

ამ ჟამადაც კი აქედან გაქცეული მენშევიკები იმპერიალისტების გავლენით ყოვლად მიუღებელ ბრძოლას აწარმოებენ საბჭოთა ძალა-უფლების წინაამდეგ.

ქართველი მენშევიკები დაუმეგობრდენ იმ მემამულეებს, რომელთაც 25 წლის განმავლობაში ვებრძოდით.

აი ასეთმა ტაქტიკამ გამოიწვია პარტიის ის სწრაფი დაშლა, რომელსაც ჩვენ თვალწინ აქვს ადგილი.

ცხადია, აქ არაფერ შუაშია ძალდატანება. უხეშ ძალას რომ შეძლებოდა პოლიტიკური პარტიის დაშლა, მაშინ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ნიკოლოზის ჟანდარმერიის კლანჭებში ამოხდებოდა სული.

საუკეთესო ნაწილმა დასტოვა მენშევიკურ პარტიის რიგები და გვერდში ამოუდგა რევოლიუციონურ პროლეტარიატს.

სარწმუნოება და ღმერთები.

(გაგრძელება).

(იხილეთ № 351,)

7

გრძნობით ფაქიზი, გონებით მაღალი და სახით კეთილშობილი ადამიანი ნამდვილი და ღირსეული მეფეა ბუნების. ის გრძნობს ამას და ებრძვის ბუნებას, გრძნობს უპირატესობას, ადამიანურ მაღალ დანიშნულებას, და ცდილობს დაიმორჩილოს ბუნება, თანდათანობითი და ნელა, მაგრამ იმორჩილებს კიდეც, ადამიანის გამბედაობას საზღვარს ვერ მოუძებნით, თუ სიკვდილის აუცილებლობას არ მოვაგონებთ, მაგრამ, სადაც სიკვდილის საკითხი წამოიჭრება, იქ ადამიანის გამბედაობაც ფრთაშეკვეცილია.

ადამიანის სიცოცხლეს დაბადებიდანვე არ დაჰყოლია სიკვდილზე საზიზღარი, უცნაური და გაუგებარი თვისება. მოულოდნელი, მკაცრი და აუცილებელი, სიკვდილი ძირია და წყარო ადამიანის შიშის. სიკვდილია მიზეზი ყოველგვარი გაუბედაობის და უსხეულო ლანდების არსებობაში დაჯერების. სიკვდილი რომ არ ყოფილიყო შეიძლება, მოხეტიალე და უსხეულო სულების არსებობა არ წარმოედგინა ადამიანს!

სიკვდილზე დიდი უბედურება ადამიანს თავზე ვერ დაატყდება. ვის შეუძლია განზომოს ის მძიმე წუთები, როცა ადამიანი სიცოცხლეს ესალმება, როცა ის რწმუნდება, რომ უკანასკნელად ემშვიდობება ყველაფერს. ეს წუთები მართლა განუზომელია, ყოველ ტკივილზე მტკივნეული და შხამიანი. აქ ადამიანს უნდა დაიჯეროს დაუჯერებელი—საიქიო სასუფეველი სულის და შეარბილოს განუზომელი ტანჯვა.

მაგრამ, არის სიკვდილის საშინელების განცდა, სიკვდილის მეორე მხარე, რომელიც ჩვენ ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, და რომელიც არა ნაკლებ სწამლავს ადამიანის გულს: ეს ნათესავთა და მეგობრის, ან სატრფოს, სამუდამოდ გამოთხოვება, მათი ცივი სხეულის შეხება, მწარე გაჟრჟოლებით აკივლება, ან მუნჯი გლოვა, კიდევ უფრო მძიმე და აუტანელი. აქ ადამიანის გონება იხურება, აქ ადამიანი მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს, ოღონ სიცოცხლე დაუბრუნოს გაციებულ სხეულს. აქ გრძნობს ადამიანი სიცოცხლის უაზრობას და ინუგეშებს თავს საიქიოს შეხვედრის იმედით, არის შემთხვევები თვითმკვლელობის იმქვეყნიურ შეხვედრის დაჩქარების აზრით და ფიქრით გამოწვეული. სიყვარული ცოცხალ ადამიანში საყვარელ არსებასთან ერთად არ კვდება, პირიქით, სიკვდილის გამო გლოვა აძლიერებს სიყვარულს. აქ დაუმატოდ სულის უკვდავების დაჯერება, მიცვალებულთა დასაფლავების სირთულე, უცნაური მსხვერპლი, საწირავი, გარდაცვლილთა სულის საკეთილდღეოდ, და დავინახავთ, რა გაუგებრობას იწვევდა პირველ-ყოფილ საზოგადოებაში სიკვდილი.

ყოველ საზოგადოებაში, და ყოველ ერში, მკვდარი სხეულის პატრონობა და მოვლა სარწმუნოებრივ მოვალეობად და ღმერთ მსახურებად იყო აღიარებული; ამიტომ აქ ყოველგვარი მსხვერპლი დასაშვები და მისაღები იყო.

პირველყოფილ ადამიანს სჯეროდა, თითქოს სული მკვდარ სხეულთან არ სწყვეტდეს კავშირს და თავს დასტრიალებდეს, ან, მეტი, თითქოს სული ოდესმე დაუბრუნდებოდეს იმავე სხეულს და განაგრძობდეს სიცოცხლეს ამ ქვეყნად. ზოგს ისიც სჯეროდა, თითქოს სხეული სულთან ერთად მიემგზავრებოდეს საიქიოს, თითქოს, სიკვდილის შემდეგ და ადამიანი კი არ ჰქრებოდეს, არამედ გადადიოდეს სხვა მდგომარეობაში, სხვა სასუფეველში და განაგრძობდეს სიცოცხლეს.

ამ დაჯერების მიხედვით სხვა და სხვა გვარია მკვდარის სხეულის პატრონობა და მოვლა. მოხეტიალე პირველყოფილი ადამიანი, ზოგ შემთხვევაში და ზოგ ქვეყნებში, სრულიად არ ასაფლავებდა სხეულს: ხეზე ჩამოჰკიდებდა, გაახმობდა, შემდეგ გამხმარ ძვლებს ერთად შეკრავდა და თავისთან ატარებდა. ზოგი კიდეც დასწვავდა სხეულს, რომ სული სრულიად განთავისუფლებია ზოგ ქვეყნებში მიცვალებულს კუბოში ასვენებდენ და განსაკუთრებ ხარახოზე დგამდენ საცხოვრებელ ბინის ახლო. ერთი წლის შემდეგ ისე გადახდიდენ კუბოს თავს და გამოიტირებდენ. ზოგიც, ხარახოს ჭურჭელ შეუდგამდა, ადამიანის სხეულის წვენის დაგროვების მიზნით. მიწაში ასაფლავებდენ, როგორც დღეს, ხოლო სამარეს მკვდრის თავის პირდა პირ ჭუჭრუტანას დაატანდენ და თვეობით საჭმელ-სასმელს აწვდი ნენ. ასეთი უსაფუძვლო ჩვეულ ნი დღესაც არის დარჩენილი ველურ საზოგადოებაში. რა არის გაუნათლებლობა!?

(გაგრძელება იქნება)

გ. ბაბურაული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წითელ ჯარში

ც. საკ. ასეულის ბიბლიოთეკა.

ცალკე საკავშირო ასეულს აქვს თავისი საკუთარი ბიბლიოთეკა. რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. თარხანოვი. ეს ბიბლიოთეკა მოთავსებულია ასეულის ყაზარმაში მეორე ოთახში, როგორც კარებზე უწერია ამხ. თარხანოვს უნდა იყოს წიგნ. საცავი. სამკითხველოს კარებზე გაკრულია წარწერა, სამკითხველო ღიაა დილის 9 საათ. საღამოს 5 საათამდე, წიგნ. საცავის კარებზედ კი წიგნ. საცავი ღიაა დილის 9 საათიდან—საღ. 6 საათამდე.

წიგნ საცავში არის გამართული ამხ. თარხანოვის კანცელარია.

როგორც განცხადებიდან სჩანს ბიბლიოთეკა ღიაა დილის 9. საღ. 5 ს. მაგრამ რას ვხედავთ: გარედან ადევს დაკეტილი ბოქლომი. ხელმძღვანელი მოდის 10—11 საათზედ. საათის თერთმეტიდან მის საქმეს, შეადგენს სხვადა სხვა მუსაიფით გართობა, შემდეგ უცბად მოაგონდება პოლიტ-განყოფილება და გარბის იქეთ.

იქ რას აკეთებს იმისი არაფერი ვიცით, მხოლოთ ასეულში გიახლებათ საღამოს საათის ხუთზედ. დარჩა კიდევ ერთი საათი. ამ ერთ საათში მოემზადება და გაემგზავრება სახლისაკენ. თუ კი იშოვი ისეთ წუთს რომ ამხ. თარხანოვი ნახე ბიბლიოთეკაშიდ, და თხოვე რაიმე, მაშინვე გეტყვის ამხანაგო ეხლა დრო არა მაქვს პოლიტ-განყოფილებაშიდ მივდივარ ჩერვონცების საკითხის გამოსარკვევად. თუ კი მეორეჯერ უთხარი მაშინ გეტყვის: ამხანაგო, მე თუ ვარ გამგე მე უნდა ვიყო თუ არადა შენო.

თარხანოვის ასეთ მოქმედების გამო სამკითხველო მეტად ცუდ მდგომარეობაშია და საჭიროა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება.

ჩვენი ასეულის ბიბლიოთეკა უნდა დადგეს ფეხზე და ის უნდა ემსახურებოდეს წითელ არმიელების გათვითცნობიერებას. **ნ. ს—ლი.**

(* ჩვენ მოვითხოვთ რათა ცალკე საკავშირო ასეულის ბიბლიოთეკას მიეცეს ჯეროვანი ყურადღება და თუ ნამდვილად ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი თარხანოვი ასე გულცივად ეპყრობა საქმეს, ის უნდა იქმნას მოხსნილი თავის თანამდებობიდან. ასეულის სამხედრო კომისარი ვალდებულია საქმე გამოიძიოს.

რედაქცია.

ცალკე საკავშირო ასეულში.

1923 წელს 14 აგვისტოს შესდგა ცალკე საკავშირო ასეულის კლუბში საზეიმო სხდომა, სხდომას დაესწრო ცალკე საკავშირო ასეულის უფ-პოლიტ და წითელ არმიელთა მთელი შემადგენლობა. ოკას საკავშირო ათასეულის უფ-პოლიტ და წითელ-არმიელთა მთელი შემადგენლობა.

ფულის მჭრელთა ექსპედიციის მუშები., ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მუშა-მოსამსახურეები. ცალკე საკავშირო ასეულის შეფი. „ჩემო“. საზეიმო სხდომა დაიწყო საღამოს 7 საათზეო სხდომა გახსნა ამხ. ხოშტარიამ. მან პირველათვე განუმარტა კრებას დღევანდელი მნიშვნელობა და მისი ჩატარების მიზეზი.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები.

1) ცალკე კავკასიის არმიის ხუთი წ. თავის აღსანიშნავათ დასაჩუქრება.

მოხსენება იქნა გაკეთებული რუსულ და ქართულ ენაზედ.

1-ლი საკითხის შესახებ რუსულ ენაზედ მოხსენება გააკეთა ცალკე კავკასიის არმიის პოლიტ განყოფილების უფროსმა.

ქართულ ენაზედ მოხსენება გააკეთა ცალკე საკავშირო ასეულის სამხკომმა ამხ. კობიძემ. მან ნათლათ განუმარტა კრებას მნიშვნელობა ყოფილ 11 არმიის, დღევანდელ ოკასი, მისი_მოღვაწეობა და ენერგ. გამოსვლები მშრომელ ხალხის განთავისუფლებისათვის. მოხსენების დამთავრების შემდეგ, კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია. „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. კობიძის ცალკე კავკასიის არმიის 5 წლის მოღვაწეობის შესახ. ჩვენ მუშები და წითელი არმიელები მივესალმებით ძლევა მოსილ ცალკე კავკასიის არმიას. ჩვენ წითელ არმიელები ვეცდებით გამოვიჩინოთ იმდენი ენერგია, რომ შევეძლოს ისეთი ამოცანების შესრულება როგორიც გადაიტანა 11 არმიამ. ჩვენ მუშები ფიცს ვსდებთ რომ არას დროს არ უღალატოთ წით. არმიას და ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიბრძოლებთ საბჭოთა ხელისუფლებასთან.

გაუმარჯოს სახელოვან ცალკე კავკასიის არმიას.

გაუმარჯოს მის ხელმძღვანელს ამხ. ეგოროვს.

გაუმარჯოს რუსეთის და საქართველოს წითელ არმიის ბელადს ამხ. ტროცკის.

2-რე საკითხის შესახებ ილაპარაკეს ამხანაგებმა, რომლებმაც აღნიშნეს იმ ამხანაგების დაფასებითი ბრძოლა წითელ არმიის რიგებზედ, და რომლებიც იქნენ დასაჩუქრებულ შეძლების დაგვარათ.

მეორე საკითხის დამთავრების შემდეგ იქნა გამართულ წით. არმიელებში პოლიტ ლატარეია. შემდეგ დაიწყო წარმდგენა ქართულ და რუსულ ენაზედ, გაიმართა ბალეტი, ცეკვათამაში, სეირნობა. საზეიმო სხდომა დამთავრდა ღამის 2 საათზედ.

ნ. გიორგაძე.

პარტიული ცხოვრება.

ცალკე საკავშირო ასეულის კომ-უჯრედის კრება.

ა. წ. 25 აგვისტოს შესდგა ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედის კრება.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1) ძველი ოქმის დამტკიცება.

2) ამხ. მაჩიტაძის მოხსენება სოფლის ყოფა-ცხოვრებაზედ.

3) მიმდინარე კითხვები.

ოქმი დამტკიცდა შეუსწორებლივ.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მაჩიტაძემ, რომელმაც აღნიშნა და დაგვიხასიათა სოფლის ცხოვრების მდგომარეობა და სოფლის კულტურული და პოლიტიკური მუშაობა. ამხანაგმა ნათლათ დაგვანახა, თუ რა პირობებში უხდებათ სოფლის გლეხებს მეურნეობასთან ერთად კულტურული მუშაობა, აღნიშნა ისიც, თუ როგორ დახმარებას უწევენ რამოდენიმე ხნის წინეთ უვადო შვებულებით განთავისუფლებულნი წითელ არმიელები სოფლის გლეხებს და უსურვა დღეგრძელობა იმათ ასეთ ნაყოფიერ მუშაობისათვის.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ, ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედის წევრებმა მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. მაჩიტაძის უვადო შვებულებაში მყოფ წითელ არმიელების კულტურული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სოფლად, უსურვებთ მათ, რომ ასეთი მუშაობა კიდევ უფრო გაეღრმავებინოთ და გაეუმჯობესებინოთ სოფლათ, რათა ამით ხელი შეუწყონ სოფლის განვითარებას.“

მიმდინარე კითხვების გათავების შემდეგ, კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ნ. გ.



„ინგლისის პარლამენტზე ხუთასი წელი არის უდიდესი საათი ვესტმინსტერისა, რომელიც ბალდვინის დანიშვნის პირველ დღეებში შეჩერდა. ამას დიდ მნიშვნელობას აძლევენ იქ.“

გაზეთებიდან.

კერზონი. მისტერ სტენლი! ეს საათი
რად შეჩერდა? მითხარ, ნეტავ?!

ბალდვინი. ჩემო კერზონ მეც ვერ მივხვდი
და ტუჩებს მიტომ ვიკვნეტავ!

კერზონი. ხუთასი წელია, რაც რომ
ეს საათი მუშაობდა;
და შენს დანიშვნის წინა დღეს
ჩერდებოდა,—ქანაობდა!..
ეხლა კი სრულიად შეჩერდა...
ნეტავ ვინ ეშმაკი სჩადის?!
მეშინია, ვგრძნობ ჩვენს ინგლისს
ეს კარგს არაფერს უქადის.
მუშა: ხა, ხა! ხა, ხა! ჯალათებო!
ვერ გაიგეთ, რასა ლაყბობთ?!
მომისმინეთ—თუ ვერ მიხვდით—
ეგ რას ნიშნავს—მე გიამბობთ!..
ვესტმინსტერნი გატყობინებთ
(ნიშანია ეს იმის, რომ)
ძველ ინგლისს ჯვარი ესმება—
თქვენ გიდგებათ სიკვდილის დრო...

პატარა ფელეტონი

ბეწვის ხიდი.

შტაბის საკუჭნაოში.

—ლევან ჩავგორდეთ ულუფის მისაღებათ, დღეს არიგებენო. ამ კიბეზედ გოჩმანა ვერ ჩავა, გაიჭედება და ისე როგორც აქლემი ნემსის კუნწში ვერ გავა, ისე ჩვენი გოჩმანი ამ კიბეში ვერ გაძვრება. ემასლაათებოდა ბეშტია ლევანს.

—არა ბეშტი, მე არა მცალიან რედაქციაში უნდა გავიქცე უარი უთხრა ლევანმა და წითელ-არმიელთა კლუბისაკენ გაჰქუსლა.

მე კი, მიუხედავად ბეშტიას წინასწარმეტყველებისა, როგორც იყო დიდის ვაი-ვაგლახით და ოხვრით, ამ ჩემთვის გამოგონილ საქაჩავ კიბეზედ გავეტიე და გაცქკლეფილი ძირს თავი დავახწიე. საკუჭნაოს კარები ღია იყო. ხალხი ბუზსავით ირეოდა. აქ დიდი კუდი დაგვხდა. კალათების ჭრიალი პარკუჭების შრიალი და ბოთლების წკარა წკური გაისმოდა. ყაფაზის უკან ორი ხმელ ხმელი კაცი ჩამჯდარიყო, ამერიკულ ქველმოქმედებსავით: ერთი მოხუცი „პაპაშა“ და მეორე ახალგაზრდა არუთინა. კუთხეში ფქვილით სავსე ტომრები, როგორც სააგარაკო მატარებელში მგზავრები, ერთი ერთმანეთზედ ელაგნენ, კედლებთან მრავალი გახსნილი ყუთები სხვა და სხვა სანოვაგით აქეთ იქით იყო გაფანტული.

— თქვენ მიიღეთ შაქარი, ჩაი, სპიჩკა. ყავა.. „უთვლიდა ბერიკაცი თეთრებში გამოწყობილ მანდილოსანს და წიგნში ფანქრით ჰნიშნავდა.

— გოჩმან! შეხედე, რა კაი კურდღლები დახტიან. რა ლამაზებია; როგორ დაშინაურებულან და დარბაისელი ხალხივით დაიარებიან, როგორც ეტყობათ აქ კარგად ჰგრძნობენ თავს მაგრამ ბალახს ვინ აჭმევს ნეტავი? პაპაშა! მიმართა ბეშტიამ მოხუცს, ამ კურდღელებს შენ უზიდავ ბალახს?

— რაა? „გაკვირვებით ჰკითხა არუთინამ ბეშტიას, რა კურდღლებსა კითხულობთ? ხორცს აი იმ ოთახში არიგებენ.

— მე აი იმ კუნჭულში რომ კურდღლები ბალახობენ იმაზედ გეკითხები.

—ვაა?! რა კურდღლები! მე არაფერი მესმის.. დამანებეთ თავი აქ ანგარიშს მიშლით: ხან ბალახს ვინა ზიდავსო, ხან კურდღლებსა ჰკითხულობთ... დამანებეთ თავი.. ორჯელ ექვსი. ორჯელ ექვსი.. იქნება., ცხრა.. ორჯელ რვა.. ორჯელ რვა.. იქნება.. თერთმეტი.. ორჯელ ცხრა... იქნება.. ცამეტი..

— ბეშტი ეგ კურდღლები კი არა ვირთხებია „უთხარი მე ბეშტიას, როცა უშველებელი კუდები კარგ ლატანსავით გამოაქანეს ვირთხებმა.

— ვირთხები?. დახეე?! მე კი კურდღლები მეგონა და პაპაშასათვის უნდა დამეცინცლა.. და ბახჩიევისათვის გამეგზავნა საჩუქრათ -ჩვენ დივიზიას, რომ ეგრე სწყალობს. მერე მაგათი ტყავისაგან რა კაი ქურქი მოუვიდოდა მას!. მაგრამ, გოჩმან ეს თხები აქ რას აკეთებენ?

— რასა და შენ ულუფას გინახევრებენ: ბეშტია სუსტი კაციაო და სახლამდის თავის ულუფას ვერ მიიტანსო. განუმარტე მას... ჰოო... გოჩმან იცი რა? თუ მაგათ ორფეხიანი ვირთხებიც შეეშველებიან, მაშინ ძალიან შეღავათიანათ წავიღებ ხოლმე სახლში ჩემ ულუფას.

— აპა, ხორცი ჩემთვის.. კარგი და ჩქარა! გასცა ბრძანება მაღალ-მაღალმა სქელმა მოსულმა შუა ხნის სამხედრო პირმა.

— არუთინ კარგი ხორცი მიეცი, თორემ ხომ იცი მაგის საქმე! აქაურობას დაანგრევს.. ჩლიქები სხვებს დაურიგე...

— რა მივცე კაცო?! შეჩვენებული ბახჩიევი ისეთ ხორცს იძლევა, რომ რაღა გითხრა?... დაიწყო არუთინამ. ჩვენი დივიზია ძალიან უყვარს და სულ საანტრიკოტო და სასუკე ხორცს აძლევს. თურმე ჩვენი სიყვარულით არც დღე სძინავს და არც ღამე. ერთი არა მინდა რა, იმის ოხტში მოვიდე! ერთი ის რაღაცა ბახჩიევია ის დამაჭერინა და ამ ჩლიქებით გამაძღობინა—ის სულწამწყდარი! ახირ, რას იზამ: „კრასნი კუპეწა“ ვარ და ხელს ვერავინ მახლებსო..“

— მე ხუთი გირვანქა და ორმოცდათექვსმეტი მისხალი მერგებოდა და თქვენ ხუთი და ორმოცი მომეცით. რად დამაკელით? ეკითხებოდა ქალი მეკუჭნავებს.

—რათა და აი მუშტის ოდენა ყმაწვილი, „მიუთითა არუთინამ ბეშტიაზედ, კურდლებს რომ ეძახის იმათ შენახვა არ უნდა“?!. საიდან ავანაზღაურო ეს ზარალი?

— გოჩმან ამისთან კურდღლები, თურმე ლეგიონშიაც ჰყოლიათ მეკუჭნავეებს. ერთ მეკუჭნავეს თურმე ბლომად შაქარი შეუჭამეს...

რა? არა გჯერა? ჩემისთანა კაცის სიზმარი კი არა უთავბოლო ყბედობაც კი დასაჯერებელია... მაგ ხნის კაცი ხარ და არ იცი, რომ მეწისქვილემ და მეკუჭნავემ სული ეშმაკს მიჰყიდეს და პირველს ეშმაკური უფლება აქვს მინიჭებული მინდის ზედმეტ ფქვილზედ და მეკუჭნავეს—ქაჯური უფლება წითელ-არმიელთა ულუფაზედ... მიკვირს უნივერსიტეტში პროფესორები რატომ ამ უფლებაზედ არა კითხულობენ ლექციებს... მე მგონი თავიანთ სიზარმაცით მოსდით ეს..

— თქვენთვის ჯერ არ გამოგვიწერია ულუფა. გამოგიწერთ, მივიღებთ და მაშინ მობრძანდით. გვითხრა პაპაშამ მე და ბეშტიას.

— აი დასწყევლა ქაჯმა! ამდენი ხანი რაზედ დავხანდდით გოჩმან? მაგრამ „ზოგჯერ დარჩენა გაქცევას სჯობს, კარგია მომთმინეობა“. იფილისოფოსა ბეშტიამ.

გოჩმანი.

ახალი ამბები

შაქარი ამ.-კავკასიისათვის.

—ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელი ლონდონში ატყობინებს გარეშე ვაჭრობის კომისარიატს, რომ მის მიერ შეძენილია 20 ათასი ფუთი შაქარი ამიერ-კავკასიისათვის და ეს შაქარი გამოიგზავნება ამ დღეებში.

აგარაკ წაღვერში.

—აგარაკ წაღვერში მუშათა დასასვენებელ სახლში ამ ჟამად იმყოფება 65 კაცი, უკანასკნელ დროს აქ საუცხოვო ამინდები დაიჭირა.

რკინის გზის მუშების ექსკურსია.

—რკინის გზის მე-7-დე უბნის მუშების ექსკურსიამ ბათომში დაათვალიერა გემი „იგნატი სერგეევ“ გემის კაპიტანმა ამხ. ლამბაშიძემ ექსკურსიას გააცნო გემის აღნაგობა და ესაუბრა ზღვაოსნობაზე. ექსკურსიამ დაათვალიერა აგრეთვე ჩაქვის ბოტანიკური ბაღი.

წითელ დაფაზე.

—რკინის გზის მთავარ სახელოსნოს ადგილკომმა დაადგინა წითელ დაფაზე აღნიშნულ იქნეს ენერგიული და დაუღალავი მუშაობისათვის შემდეგი მუშები: ი. მოგილინ, დალოროვი, აკიმოვი, კვინიხიძე, საზანოვი, პორტნოვი, ბერაძე, თეთრაძე, დიმიტრიევი, გერხეული, ჯამერიაშვილი, მიქაძე, გრაევოი და რაზკადოვსკი.

ტეხნიკუმის შენობის აგება სამტრედიაში.

—სამტრედიაში უკვე საძირკველი ჩაეყარა ტეხნიკუმის შენობას, შენობის ახლო ხანში დასამთავრებლად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა.

სულით ავათმყოფთა ახალშენი.

—სულით ავათმყოფთა ახალშენი, რომელიც სურამში იყო მოწყობილი ამ ახლო ხანში ქალაქის აღმასკომის მიერ, გადმოტანილ იქნება ტფილისში.

ვაჭრობა-მრეწველობის მუზეუმი.

—ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატთან არსდება ვაჭრობა-მრეწველობის მუზეუმი. მუზეუმისათვის უკვე შეუდგენ საყურადღებო საგნების შეგროვებას.

ამ.-კავკასიის მონაწილეობა ლიონის ბაზარზე.

ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატი უკვე შეუდგა მზადებას ლიონის ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად. ლიონის ბაზრობა განზრახულია მოეწყოს 1924 წლიდან,

უზენაეს სასამართლოში.

—საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით საქ. რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეთ 1 სექტემბრიდან დაინიშნა ამხ. კ. ცინცაძე.

სახაზინო ფულების გაფლანგვა

—აღმოსავლეთ საქ. რევტრიბუნალმა მოქ. მიშკინს, რომელსაც ბრალდებოდა ბაღ „ვეჩერნი ზორებში“ 3 მილიარდი სახაზინო ფულების გაფლანგვა, მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თეატრი აბასთუმანში.

—ამ ზაფხულის სეზონში აგარაკ აბასთუმანში მოწყობილ იქნა თეატრი. თეატრთან დაარსდა აგრეთვე ქართული და რუსული სცენის მოყვარეთა დრამატიული წრე, რომელმაც უკვე გამართა რამდენიმე წარმოდგენა.

ღვინის მოსავალი კახეთში.

—სახელმწიფო მამულების სამართველოს ცნობით წელს კახეთში ღვინის მოსავალი იქნება საშუალოზე მეტი.

გაზეთ „რუბიკონის“ გამოცემის განახლება.

—სექტემბრიდან განახლდება გამოცემა სრ. საქ. ახლო მწერლობის კავშირის გაზეთ რუბიკონისა, რომელიც სხვა და სხვა მიზეზების გამო შეჩერებული იყო.

ლოპინის ხიდთან.

(მოგონება).

1922 წლის გაზაფხული...

ღამეა. 2 საათი.

ქარი ჰქრის...

ლოპინის რკინის გზის ხიდს იცავ და ლეგიონის მეოთხე გუნდის თხუთმეტიოდე წითელ-არმიელი.

ყველას სძინავს სადარაჯო ვაგონში. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა გუშაგი სდგას ხიდის აქეთა მხარეს, თოფზე დაყრდნობილი იცავს ხიდს.

ვაზიანის მიდამოებს სთვლემს დილის მოლოდინში...

გუშაგი ფიქრებს წაუღია... და... თითქოს ვილაცამ წაჰკრაო—შეიშმუშნა, თვალები მიმოავლო ირგვლივ...

სიბნელეში შეამჩნია, ხიდზე მომავალი სამი ლანდი.

— ვინა ხართ?!—შეეკითხა.

სიჩუმე. ლანდები მიწას დაეგნენ.

— ვინა ხართ-მეთქი!!!—შეჰყვირა გუშაგმა კვლავ და თოფი მოიმარჯვა.

— დაგვენებდი! გააგდე თოფი და წადი!—იყო პასუხი.

— ტრახ!—იგრიალა გუშაგის თოფმა.

ტრახ! ტრრახ! ბუმ! ბაც! მოისმა იქიდან დაშენით. ხმაურობაზე გამოღვიძებული წითელ-არმიელები გამოცვივდენ ვაგონიდან, საცვლების ამარა და საგუშაგოს უფროსის ბრძანებით გაიშალნენ შარში. დაუშინეს ხიდის იქითა მხარეს, უჩინარ მტერს.

ისმოდა განუწყვეტელი სროლა გარიჟრაჟამდის, წითელი ენები სერავდენ სიბნელეს, სიფარ ქვებზე მოხვედრილი ტყვიები ნაპერწკლებს ჰყრიდენ...

ახმაურდა არე-მარე... ეს ჭექაქუხილი იფანტებოდა, ქარის-მიერ, შორს...

ამ სროლაში ისმოდა იქითა მხრიდან მრავალი ხმა:

— დაჰყარეთ იარაღი და მოშორდით!—

პასუხი აქედან იყო ცეცხლი და მოლაშქრეთა ერთსულოვანი, მხიარული ყიჟინა.

შეთენდა. იქიდან შესწყდა სროლა და არმიელებიც შეჩერდენ.

თითქოს მიწამ შთანთქაო—გაღმა აღარავინ სჩანდა. ხიდის იქითა მხარეს გრძელ მანძილზე მრავალი ვაზნები ეყარა. ეტყობოდა ბევრნი იყვნენ—და სამხედრო ცოდნით ისროდენ...

დღით, გვიან გავიგეთ, რომ ჩოლოყაშვილის ბანდიტები ყოფილიყვნენ, რომელთაც დღის სინათლეზე გამოჩენისა ეშინოდათ, ჩვენგან ნაფრენთ გზებზე გაძარცვათ რამოდენიმე მგზავრი.

ჩვენი იარაღის აყრა უნდოდათ, მაგრამ მიიღეს პასუხი. ჩვენი მხრით ზარალი იყო—გუშაგის ფარაჯის კალთის გახვრეტა.

№

სამხედრო საქმე

სპის მოქმედება მოულოდნელ თავდასხმის შემთხვევაში.

მცირე, რაიმე პუნქტთან მიუკუთნებელი, სპა თავის თავს საუკეთესოთ უზრუნველჰყოფს ყოველგვარ მოულოდნელ თავდასხმისაგან თავის მოძრაობით და ყოველ დღიურ სადგომ ბინის შეცვლით, თუ კი ეს საჭირო იქნება. სადგომ ბინაზედ უნდა მივიდნენ უშუალოდ დაბნელების წინ, გარს შემოერტყენ მას და შემდეგ შიგ მოთავსდნენ, აიყვანენ რა, სოფლის მცხოვრებელ—რამოდენიმე გავლენიან პირთ მძევლებათ.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიკავონ ისეთი დიდი სოფელი, რომლის შენარჩუნება მათთვის საძნელო იქნება.

როდესაც მდგომარეობა მეტად გამწვავებული იქნება ამ მხრივ, სპის ნაწილი მოთავსდება ბანაკათ ბრძოლისათვის ამორჩეულ პოზიციაზედ.

ვინც ამ პირობას არ შეასრულებს, ძალიან ინანებს შემდეგში, რის მაგალითები მრავლადაა სამხედრო ისტორიაში. თუ გარემოებანი აიძულებენ რომ დიდ სოფელში მოთავსდენ, მაშინ საჭირო იქნება მოგერიებისათვის გამოსადეგ და ცალკე მდებარე შენობების დაკავება (როგორიც არის მაგალ. საყდარი) და ყოველ შემთხვევაში წითელ არმიელები ცალკე სახლებში არ უნდა განაწილონ.

უფროსთაშემადგენლობა თავის ნაწილებში უნდა იყვნენ. თუ თავდასხმას მოელიან და მცხოვრებნი მტერს თანაგრძნობით ეპყრობიან და მათი შეშველება შესაძლოა, მაშინ უნდა ყოველი ზომები მიიღონ: უნდა დაემუქრონ მცხოვრებლებს მძევლების დასჯით, ჩირაღდნებით გაანათონ ქუჩები და მცხოვრებლებს კარებები ღიათ დაატოვებიონ. წითელ არმიელები უნდა ერთ ალაგას იყვნენ შეგროვილნი და მომზადებულნი განგაშისათვის; ყოველ ბინაზედ ერთი კაცი მაინც უნდა მორიგეობდეს.

სოფლიდან გასავალი გზები უნდა მოძრავ დაბრკოლებებით შეიკრას და უნდა განკარგულება გაეცეს მოგერიებისათვის.

თუ მოწინააღმდეგე დღისით დაესხმის თავს, მაშინ სავსებით უნდა გამოიყენონ სოფლის მოსაგერიებელი ძალები, დაიკავებენ რა ყველა ღირსშესანიშნავ პუნქტებს.

ღამით სულ სხვა იქნება, განსაკუთრებით, თუ თავდასხმას აწარმოებენ თავისუფალნი მსროლელნი, ან ნაკლები დისციპლინის მქონე, ცუდათ გაწრთვნილი ჯარი, რომელიც ამის გამო უნდა მომგერიებელზედ მრავალ რიცხოვანი იყოს.

საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, გერმანელებს ფრანგები ხშირად და წარმატებითაც ესხმოდნენ თავს, რაც აიხსნება იმით, რომ გერმანელები არავითარ ზომებს არ ღებულობდენ მოსახლე პუნქტების თავდაცვისათვის, ახდილ გზაზედ მყოფი ჯარი დროს უმთავრესად სროლას ანდომებდა, იმის მაგიერად, რომ ბრძოლა მაგარი დაკვრით გადაეწყვიტათ ხიშტით.

თუ მტერი სოფელში შემოიჭრა და გამარჯვებაზე ფიქრი აღარ შეიძლება, მაშინ ტყვეები მაინც უნდა გამოიხსნან და ამით გადაარჩინონ ნაწილის სახელი და სულიერი განწყობილება.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იერიშის დროს უფრო ნაკლები იხოცება, ვიდრე როდესაც მირბიან ან პირველ შიშის შემდეგ მოლოდინში არიან, ჩვეულებრივად, დაკავებულ ცუდ პოზიციაზედ. სულ სხვა იქნება, რასაკვირველია, როცა ყოველ სახლში წინასწარ მომზადებულია გარნიზონი, რომლის დასამორჩილებლად საჭირო იქნება დრო და საშუალებანი.

გამოცდილებით მოხვეჭილი ეს წესები უნდა ჩაენერგოს როგორც უფროსთა შემადგენლობას, ისე საეტაპო ჯარს. ნამეტნავად, ამ უკანასკნელ ჯარს მუდამ ისეთ მოწინააღმდეგესთან ექნება საქმე, რომელიც სცდილობს ახდილი ბრძოლა აიცილოს და მუდამ ეძებს შემთხვევას—მოულოდნელი თავდასხმა მოახდინოს.

ყოველი წითელ არმიელი უნდა დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ამ გვარ მოწინააღმდეგის მოულოდნელი თავდასხმა იმ შემთხვევაშია სახიფათო, თუ ერთ ალაგას დარჩებიან ან და უკან დაიხევენ, და რომ ამ შემთხვევაში უფრო სასარგებლო იქნება დაუყონებლივ და გულადად ეცენ მტერს.

თუ სოფელს დაჰკარგავენ, მაშინვე უნდა ხელ-ახლა შეეცადონ ხელში ჩაიგდონ, ტყვეების გამოსახსნელად და სახლებში დამალულ მებრძოლ ამხანაგების მისაშველებლად. წარმატება უსათუოდ იქნება, ვინაიდან თვით გამარჯვებული დიდ არევ დარევაში იქნება.

გ. ბ.

სხვა და სხვა

როგორ მოეწყო გამოფენა.

გამოფენის მოწყობა—ეს ჩვენ შეერთებული ძალ ღონის ნაყოფია. აქ ყველა ერთათ ვმუშაობდით: მუშაობაში იყო ჩაბმული ყველა სახალხო კომისარიატები, ამხანაგობები, კოოპერაცია, ადგილობრივი აღმასკომები და მრავალი სხვა დაწესებულება და ორგანიზაციები და კნტორები.

ეს მოსკოვში.

ადგილებზე კი უფრო მეტი მუშაობა იყო. ჩვენ სოფლებში ყველგან ერთხმად იძახოდენ.

„გლეხებო, გამოფენაზე!“

თითქმის ყოველთვის ცუდი დარები იდგა. გამოფენა აუარებელ ხარჯებს მოითხოვდა ყოველივე ეს აბრკოლებდა ჩვენ მუშაობას, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვსძლიეთ.

მუხლებამდე წყალში იდგენ მუშები, მაგრამ საქმისთვის თავი არ დაუნებებიათ.

გამოფენის მთავარ კომიტეტის წევრების გულმოდგინე მუშაობამაც თავისი ჰქნა.

თვითეული მათგანი მოვალე იყო დანიშნული დროისთვის გაეთავებია დაკისრული საქმე.

თუ საძირკველის ამოყვანის დამთავრება დანიშნული იყო 10 მაისისათვის, ეს უსიკვდილოთ შესრულებული იყო.

დანიშნავდენ ხოლმე ვადას, რომელიმე სამუშაოსათვის, მაგალითად, ნაგავი გატანილ უნდა იქნას ამა-და ამ საათზე და იმდროისათვის საქმე მოთავებული იყო.

ასე მიმდინარეობდა მუშაობა.

ყოველივე გამოზომილი იყო საათობით.

გამოფენა—მუშებისა—გლეხებისა თვისაა მოწყობილი.

აქაა თავმოყრილი ყველაფერი რაც მუშისა და გლეხის ხელს გაუკეთებია.

გამოფენამ უნდა მოგვცეს:

1) მრავალწლიან თესლთა ბრუნვის სარგებლობა.

2)საკვებ ბალახების, კარტოფილის და სხვა სათოხნელ მცენარეთა თესვის შემოღება.

3) სასოფლო მეურნეობის ცოდნის გავრცელება.

4) საბალახოების გაუმჯობესება და საქონლის მოვლა.

5) ტყის მოვლა.

და სხვა რამეც უნდა ვისწავლოთ ჩვენ ამ გამოფენაზე.

[illegible]

ჯარის აჯანყება

„მალაგაში (ესპანეთი) აჯანყდა ჯარი და უარი განაცხადა მაროკოში (აფრიკა) წასვლაზე. დახოცეს აფიცრები მოხდა უდიდესი სისხლის ღვრა“.

დეპეშებიდან.

და ესპანიის აჯანყდა ჯარი...
რევოლიუციით ანამღერები.
წასვლად მაროკოს სთქვეს მათ უარი
დასამონავად იქ მყოფ ერების!..

იქაც შეიჭრა უცხო ძახილი
თავისუფლების ტრფობა—ძიების.
და ამბოხება მხედართ ნაწილის
ანათებს ლაშქარს წითელ მთიებით!

სამოქალაქო ომის დაწყება
ესპანიაში ახლოა, ისმის...
და ცეცხლიანი მირონის ცხება
ელავს, იქ ცაზე, მზე—კომუნიზმის!..

და ამას იწყებს ჯარი, ნაწვალი
მეფე ალფონსი შიშითა დრკება;
ბურჟუაზიაც—მისი ნაცვალი—
ამა ამბების ზარითა კვდება!

სალამი იქ მყოფს, ძმებს—ჯ.-კაცებს!
(თუ საჭიროა დავეხმარებით;)
მალე უფლებას, ის გამოსტაცებს
ოდეს ძმურ შველას დავემყარებით.

პირ-ქუშ მადრიდის ზღუდე ირღვევა,
ჩვენი საყვარელ ჯარის შეტევით;
და დონ-მარკიზთა ცრემლი იფრქვევა
ალ-მოდებული დროშების ძლევით!

დაშნა.

დაჰკარგე დროებითი პარტიული ბილეთი, № 5744 ახალკაცი მიხეილი ლევანის-ძის სახელზე გაცემული ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ნ. დ. ს· ც. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა პასუხის-მგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.